უნარების საკონტროლო ჩამონათვალი: ტუალეტისა და შხაპის სკამები TAP

მსმენელი:	მენტორი:	თარიღი:

კომპეტენცია	მენტორის კომენტარები	დიახ	არა
ნაბიჯი 1: შერჩევა			
1. შეფასების ფორმის გამოყენებით აგროვებს შესაბამის ინფორმაციას და სწორად განსაზღვრავს შემდეგს: • საჭიროებს თუ არა პირი ტუალეტის ან/და შხაპის სკამს? • არის თუ არა ნაწოლის გაჩენის რისკი?			
2. პირთან ერთად განიხილავს, თუ სად და როგორ გამოიყენებს ტუალეტის ან/და შხაპის სკამს, სულ მცირე შემდეგის გათვალისწინებით: • პრივატულობა; • უსაფრთხო და მარტივი წვდომა, სწორი იატაკი; • ხელის საბანი ადგილი (ტუალეტის სკამისთვის).			
3. არჩევს დამხმარე საშუალებასა და იმ მახასიათებლებს, რომლებიც აკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს.			
4. განსაზღვრავს, როდის სჭირდება ადამიანს გადამისამართება და შესაბამისად მოქმედებს.			
ნაბიჯი 2: მორგება			
5. მორგებამდე ამოწმებს დამხმარე საშუალების გამართულობასა და დასაშვებ წონას; 6. აწყობს ან/და ურჩევს ადამიანს, როგორ ააწყოს და მოარგოს ტუალეტის ან/და შხაპის სკამი შერჩეულ ადგილას.			
ნაბიჯი 3: სწავლება			
7. პირთან ერთად განიხილავს ან/და ასწავლის მას ტუალეტის ან/და შხაპის სკამის გამოყენებას, რაც მოიცავს შემდეგს: • უსაფრთხოდ გადასვლა და გადმოსვლა (შესაძლოა, გადაამისამართოს გადაყვანის/ტრანსფერის ტრეინინგზე); • ტუალეტის სკამის სათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებული რჩევების მიწოდება (უბედური			

შემთხვევების თავიდან ასაცილებლად); • რეგულარულად გაწმენდა და მუხრუჭების, დაბოლოებების, ჟანგის/ბზარების არსებობაზე შემოწმება.			
ნაბიჯი 4: გადაფასება			
8. განსაზღვრავს გადაფასებისთვის განკუთვნილ სათანადო ქმედებებს, როგორებიცაა: • შემდგომი სწავლების ჩატარება; • დამხმარე საშუალების შეკეთება ან შეცვლა; • სხვა სერვისის გამცემ ორგანიზაციაში გადამისამართება.			
ყველა ეტაპზე:			
9. მომსახურების ყველა ეტაპზე ავლენს უსაფრთხო და მომხმარებელზე ორიენტირებულ პრაქტიკას.			

მენტორებისთვის განკუთვნილი შენიშვნები:

ამ საკონტროლო ჩამონათვალის თქვენ მიერ გამოყენება ხელს შეუწყობს შემდეგს:

- შეფასება, მსმენელები რამდენად ითვისებენ ტუალეტისა და შხაპის სკამების უსაფრთხოდ უზრუნველყოფის უნარებს. იმავდროულად:
    - შეუძლიათ თუ არა მათ ამ დამხმარე საშუალებების დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა;

      ან

    - საჭიროებენ თუ არა ისინი მენტორისაგან დამატებით დახმარებას. და თუ ეს ასეა, რომელი უნარების პრაქტიკულად დახვეწა სჭირდებათ მათ ყველაზე მეტად.

გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ეს ჩამონათვალი ორიენტირებულია ყველაზე მნიშვნელოვან უნარებზე, რომლებიც TAP მოდულშია გადმოცემული;
- შეიძლება არსებობდეს სხვა უნარებიც, რომელთა განვითარებაც (სერვისის საჭიროებებიდან გამომდინარე) თქვენი თანამშრომლებისთვის სასურველი იქნებოდა. შეგიძლიათ ეს ჩამონათვალი განავრცოთ, თუ ამგვარ ქმედებას სასარგებლოდ მიიჩნევთ;
- შეიძლება ერთი სესიის ფარგლებში ვერ მოახერხოთ ოთხივე ეტაპით გათვალისწინებული უნარების შემოწმება, რადგან შემდგომი დაკვირვება მოგვიანებით განხორციელდება.

უნარების საკონტროლო ჩამონათვალის გამოსაყენებლად:

- დააკვირდით, როგორ ასრულებენ მსმენელები ტუალეტისა და შხაპის სკამების უზრუნველყოფის ეტაპებს. დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს როგორც როლური თამაშის (ერთმანეთთან პრაქტიკულად ვარჯიში), ისე კლიენტებთან ურთიერთობის დროსაც;
- ყოველთვის უზრუნველყავით კლიენტებთან შესრულებული პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო მიმდინარეობა;
- ჩაწერეთ ფორმაში, სწორად შეასრულა თუ არა მსმენელმა თითოეულ უნართან დაკავშირებული ქმედებები. დეტალების დასაფიქსირებლად გამოიყენეთ კომენტარების სვეტი. ზემოაღნიშნული შეიძლება შეეხებოდეს როგორც კარგად შესრულებულ სამუშაოს, ისე იმ სფეროებსაც, რომლებიც შემდგომ პრაქტიკულ დახვეწას საჭიროებს.

მსმენელებისათვის უკუკავშირის მიწოდება:

- მსმენელებთან ერთად განიხილეთ თქვენი დაკვირვებების შედეგები. გაუზიარეთ მათ ინფორმაცია როგორც ძლიერი მხარეების თაობაზე, ისე იმ სფეროების შესახებაც, რომლებიც მეტ პრაქტიკულ ვარჯიშს მოითხოვს;
- მსმენელს ჩანაწერის ფორმით მიაწოდეთ შევსებული საკონტროლო ჩამონათვალის ასლი;
- განაგრძეთ მსმენელებისათვის მენტორობის გაწევა / სათანადო მხარდაჭერა; მათი უნარებისა და თავდაჯერებულობის გაუმჯობესების შესაბამისად ხელახლა შეაფასეთ.

როდის არის მსმენელი მზად, დამოუკიდებლად უზრუნველყოს ტუალეტისა და შხაპის სკამების მომსახურება?

- ტუალეტისა და შხაპის სკამების უსაფრთხოდ უზრუნველსაყოფად მსმენელმა თანმიმდევრულად და სწორად უნდა აითვისოს ყველა უნარ-ჩვევა;
- გახსოვდეთ! მენტორობის გაწევა და ზედამხედველობა უნარ-ჩვევების მუდმივი გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი უწყვეტი პროცესია.